გენდერული კიბერძალადობა და შევიწროება

მათე გუმბარიძე, გიორგი მიქაძე

რედაქტორი: ელენე ცაცუა

აბსტრაქტი

ნაშრომი განიხილავს კიბერსაფრთხეებისა და შევიწროების სფეროებს გენდერული კუთხით, რომელშიც ცენტრალური საკითხებია: კიბერსაფრთხეების კონკრეტული სახეობები, ონლაინ შევიწროება და კიბერდანაშაულები, მათ შორის, კიბერბულინგი, შანტაჟი და ადევნება. არსებული მდგომარეობის შესწავლის გზით, პრეზენტაცია კიდევ უფრო სიღრმისეულად ეხება გენდერული კიბერსაფრთხეებისა და შევიწროების გავრცელებულ ფორმებს. მიმდინარეობს რა ტექნოლოგიების ყოველდღიურ ცხოვრებაში მზარდი ინტეგრაცია, ინტერნეტი გახდა გენდერული ძალადობის სხვადასხვა ფორმის განხორციელების გამაერთიანებელი პლატფორმა. კვლევა მიზნად ისახავს გააანალიზოს კიბერსაფრთხეებისა და ონლაინ შევიწროების ის კონკრეტული სახეობები, რომელთა მეშვეობითაც ხდება მოქალაქეებზე გენდერის ნიშნით ძალადობის განხორციელება, ასევე, უზრუნველყოს ძალადობის ფორმების მახასიათებლების გამოააშკარავება და გამოავლინოს მათი შედეგები საზოგადოების განვითარებაზე. მიმდინარე მონაცემთა ანალიზის საფუძველზე, ჩვენ შევძლებთ შევიმუშაოთ უფრო ეფექტური სტრატეგიები და ინტერვენციები გენდერული ნიშნით კიბერსაფრთხეებისა და შევიწროების პრევენციის მიზნით.

შესავალი

კიბერბულინგი გულისხმობს ციფრული ტექნოლოგიების - ინტერნეტის, სოციალური მედიის და მობილური ტელეფონების გამოყენებას ადამიანების შევიწროების, მუქარის ან დამცირების მიზნით. ტრადიციული ბულინგისგან განსხვავებით, კიბერბულინგი შეიძლება განხორციელდეს უწყვეტ რეჟიმში და მოძალადეს ონლაინ კომუნიკაცია ჰქონდეს მსხვერპლთან მაშინაც კი, როცა ის ფიზიკურად მარტოა.

კიბერ დაშინება და შევიწროება მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება, მუქარის შემცველი შეტყობინებების გაგზავნით, ონლაინ დეზინფორმაციის გავრცელებით, პირადი დამამცირებელი ინფორმაციის გაზიარებით და გასაჯაროებით, თანხმობის გარეშე, პიროვნების მაიდენტიფიცირებელი ინფორმაციის მოპოვებით, და ამ გზით მისი ონლაინ ჯგუფებიდან გამორიცხვით.

კიბერბულინგის შემთხვევების ზრდასთან ერთად, აშკარა გახდა, რომ მოძალადეები შევიწროების სამიზნედ ძირითადად, ქალებს ირჩევენ. კვლევის თანახმად, რომელიც ორგანიზაცია Cybersmile.org-მა 2017 წელს ჩაატარა, სამიზნე ადამიანების ჯგუფი, როგორც ჩანს, სქესის მიხედვით განისაზღვრება და მსხვერპლი ქალების რაოდენობა ორჯერ აღემატება კაცებისას.

კვლეები და მონაცემები

ევროკავშირის მიერ ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ ქალების 73% გახდა ონლაინ ძალადობის მსხვერპლი. ასევე გერმანიაში განხორციელებულმა გამოკითხვამ ცხადყო, რომ ქალები უფრო ხშირად არიან კიბერ შევიწროების და თვალთვალის სამიზნე, ვიდრე კაცები.

დაფიქსირდა სავალალო შემთხვევები, რომლებიც ხაზს უსვამს ამ საკითხის სიმძიმეს. მაგალითად, ოცდაექვსი წლის *ათირამ კერალადამ* სიცოცხლე სუიციდით დაასრულა მუდმივი კიბერძალადობის გამო. ესპანეთში 12 წლამდე ასაკის გოგონები, პაკისტანში ქალები და პერუში Facebook-ისა და WhatsApp-ის მომხმარებელი ქალები ასევე არიან კიბერშევიწროების მსხვერპლები. გაეროს შეფასებით, ონლაინ აგრესიის, შევიწროების, ძალადობრივი ენისა და დამამცირებელი შინაარსის ტექსტების 95% გამიზნულია ქალების წინააღმდეგ.

გაეროს ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსებული, Ditch the Label-ისა და Brandwatch-ის მიერ, ოთხი წლის განმავლობაში ჩატარებული კვლევის მიხედვით, ტვიტერზე განთავსებული 19 მილიონი ადამიანის მოსაზრების გაანალიზების შედეგად დადგინდა, რომ 5 მილიონი შემთხვევა მიზოგინიას განეკუთვნება. როგორც ანალიზმა აჩვენა, მეზოგენურად (ქალების ზიზღი) შეურაცხმყოფელი მოსაზრებების ავტორთა 52% ქალები იყვნენ, რომელთა ზიზღიც მიმართული იყო სხვა ქალებისადმი, მათ გარეგნობაზე, ინტელექტსა და სექსუალურ უპირატესობებზე მითითებით. კვლევამ დაადასტურა რასიზმის 7.7 მილიონი შემთხვევა, ჰომოფობიის 390,296 შემთხვევა და 19,348 ტრანსფობიური ტვიტერ შეტყობინება. ამ პროცესში შესწავლილ იქნა მხოლოდ საჯარო მონაცემები, და შესაბამისად, როდესაც ხდება ციფრებში გადმოცემული სტატისტიკური მონაცემების წინასწარი პროგნოზირება ინტერნეტიდან საჯარო და კერძო საკომუნიკაციო არხებზე დაყრდნობით, ონლაინზე სიძულვილის ენის მაჩვენებელი საკმაოდ დიდია.

eSafety Commissioner თანახმად, ონლაინ ძალადობა მნიშვნელოვნად აისახება ქალების ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე (41%) და თვითშეფასებაზე (35%), რაც ხშირად მათ პროფესიული და საჯარო საქმიანობიდან ჩამოშორებას იწვევს. ბევრი ქალი დროებით (22%) ან სამუდამოდ (5%) წყვეტს სამსახურებრივ ონლაინ აქტივობებს, 8% უარს ამბობს ლიდერის როლზე, 5% ტოვებს სამუშაოს, 9% თავს არიდებს საჯარო დისკუსიებს და 5% აუქმებს სოციალური მედიას. ძალადობასთან დაპირისპირების შემთხვევაში, ქალების 56% არ რეაგირებს, 54% თავის სოციალურ ქსელში ბლოკავს მოძალადეებს, ან 37% შლის პოსტებს/კომენტარებს, რათა ვითარება არ გაამწვავოს (44%), სტრესს თავს არიდებს 24%. 30%-ს მიაჩნია, რომ ძალადობაზე რეაგირება არაეფექტურია. მესამედზე მეტი (38%) არასათანადო მოპყრობის აღმოჩენის შემთხვევაში *არეპორტებს* მოძალადეს ძირითადად სოციალური მედიის პლატფორმებზე, და მხოლოდ 8% ცდილობს ძალადობრივი ფაქტის შესახებ შეტყობინება გაუგზავნოს ხელისუფლებას. მსხვერპლი ქალების 16% პროცენტი თავიანთი აქტიურობით ინტერნეტ სივრცეში ძალადობაზე უპასუხებს შეძლებისდაგვარად, ან მედიის გზით ავრცელებს მოცემულ ფაქტზე ინფორმაციას.

Pen America-ს მიხედვით:

- რამდენიმე წლის განმავლობაში ფიზიკური შეურაცხყოფის მრავალი შემთხვევის შემდეგ, 2017 წელს, ძალადობის შედეგად დაზარალებულ ქალს მიენიჭა დამცავი ორდერი მისი მოძალადე ქმრის პარის *დეშონტე ევიტის* წინააღმდეგ. ამის შემდეგ *ევიტმა* თავისი ძალადობრივი ქმედებები და მუქარა ვირტუალურ სივრცეში გააგრძელა წერილობითი ტექსტების, სატელეფონო ზარების, ელექტრონული ფოსტისა და ფეისბუკ შეტყობინებების მეშვეობით. კაცი ამ გზით, ორი წლის განმავლობაში ცდილობდა მსხვერპლზე გავლენის მოხდენას. 2020 წელს *ევიტი* დამნაშავედ ცნეს დამცავი ორდერის დარღვევის გამო და მას ოთხი წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა. დამნაშავეს ასევე დაევალა დაზარალებულის სასტუმროს ხარჯების კომპენსაცია, რადგან მსხვერპლი ქალი, მოძალადე ქმრის მუქარების გამო, იძულებული გახდა სახლიდან გაქცეულიყო.

ერიკა *იუნგი* თავის სტატიაში მისი, როგორც ქალის ცხოვრების შესახებ წერს, რომელიც უთანასწორო მოპყრობასა და სტიგმას ვიდეო თამაშების სამყაროში გადაეყარა. ის აღწერს თავის ენთუზიაზმს და განცდებს ვირტუალური სამყაროსადმი და იმ დეტალებზე ჰყვება,

როცა საპირისპირო სქესის თანაგუნდელებისგან მოუწია თავის დაცვა. გთავაზობთ ერთ ამბავს სტატიიდან.

- „2020 წელს ჩავერთე თამაშში, რომელსაც ერქვა *ვალორანტი* (Valorant). თამაშში ორი ხუთკაციანი გუნდი იბრძვის ერთმანეთის წინააღმდეგ, სადაც მონაწილე თავდამსხმელებისა და მცველების ფუნქცია ბომბების გააქტიურება და განაღმვაა. მალევე ეს თამაში ჩემს საყვარელ საქმედ იქცა. *ვალორანტს* (Valorant) ხმოვანი *ჩატის* ფუნქციაც აქვს, რომელიც საშუალებას აძლევს მოთამაშეებს მთელი მსოფლიოდან ერთმანეთთან სახის გამოჩენის გარეშე ისაუბრონ. მაგრამ, როგორც კი ავლაპარაკდი და ჩემმა თანაგუნდელებმა აღმოაჩინეს, რომ ქალი ვარ, დაიწყეს სასოწარკვეთილი კომენტარების წერა: „ოჰ, ჩვენ წავაგებთ", „გუნდში გოგონა გვყავს" და ა.შ. ზოგიერთმა თამაშიც კი დატოვა".
- საქართველოში კიბერშევიწროების, კერძოდ კი, TikTok-ის პლატფორმაზე გავრცელებული ცილისმწამებლური ვიდეოების მსხვერპლი 18 წლის მარიამ გრიგალაშვილი გახდა. ვიდეოებში სექსუალური ხასიათის ტექსტები და მარიამის პერსონალური მონაცემები გაჟღერდა. ვიდრე გოგო კიბერბულინგის შესახებ საჯაროდ საუბარს დაიწყებდა, მან პოლიციას მიმართა (ვიდეოების გავრცელებისთანავე), მაგრამ სამწუხაროდ, დახმარებაზე უარი მიიღო. მარიამს პოლიციაში აუწყეს, რომ განცხადების დაწერას აზრი არ ჰქონდა და მიზეზად მსგავსი შემთხვევების გამოძიების სირთულე დაასახელეს. „ჩემს შესახებ პირველი ვიდეო TikTok-ზე თებერვალში გამოქვეყნდა, რომელშიც ისეთი საშინელი, სექსუალური შინაარსის ტექსტი იყო, რომ ვერც კი გავიმეორებ. ვიდეოს *კონტენტი* მოიცავდა ჩემი მეგობრების და მათი მშობლების „ფეისბუქ" გვერდებიდან აღებულ ფაქტებს. ვიდეოს ქვეშ ნელ-ნელა ტიტრებად ჩნდებოდა ძალადობრივი შინაარსის შემცველი ტექსტები და კომენტარები. მე დაუყოვნებლივ მივმართე პოლიციის დეპარტამენტს," - წერს მარიამ გრიგალაშვილი.

დასკვნა

გენდერზე დაფუძნებული *კიბერშევიწროების* მასშტაბები იზრდება ტექნოლოგიის გამოყენების მრავალმხრივი შესაძლებლობებიდან გამომდინარე. შესაბამისად, უფრო მეტი ადამიანის ხდება ონლაინ ძალადობისა და მუქარის მსხვერპლი. განხილული სტატისტიკა და ისტორიები ხაზს უსვამს საკითხის სიმძიმეს განსაკუთრებით, ქალების მიმართ. შედეგად ვიღებთ იმას, რომ ზიანდება მათი ფსიქიკური ჯანმრთელობა, აქტიურად ვეღარ ერთვებიან სამსახურებრივ საქმიანობაში, იკლებს ქალების საზოგადოებრივი ჩართულობა და თავისთავად ისინი არ მონაწილეობენ სამოქალაქო სფეროში პრობლემების გადაჭრასა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში.

ჩიკაგოს უნივერსიტეტის რეკომენდაციები გულისხმობს სოციალური მედიის პროფილების დროებით გამორთვას ან დახურვას, რათა მოხდეს არასასურველი ურთიერთობების პრევენცია. შევიწროებაზე რეაგირებამ შეიძლება გამოიწვიოს ხანგრძლივი კონფლიქტური პროცესები, ამიტომ მნიშვნელოვანია მოძალადესთან კონტაქტში ყოფნის დროის მაქსიმალურად შემცირება. ასევე არსებობს სხვა მრავალი სტრატეგია მსგავსი პრობლემის გადასაჭრელად.

იგნორი: სოციალური მედიის აგიტატორების (ტროლების) მთავარი მიზანია ძალადობის მსხვერპლისგან მიიღონ პასუხები. ხშირ შემთხვევაში, თუ ტროლებს დიდი ხნის განმავლობაში დააიგნორებენ, ისინი თავს ანებებენ სამიზნე ჯგუფებს.

დადუმება: იმ შემთხვევაში თუ სოციალური მედიის საშუალებით გამოთქმული სხვა ადამიანების შეხედულებები თქვენზე ნეგატიურად ზემოქმედებს და იწვევს უსიამოვნებას,

შეგიძლიათ შეცვალოთ თქვენი პროფილის პარამეტრები და გადაიყვანოთ ის დუმილის რეჟიმზე. აღსანიშნავია, რომ ჩვეულებრივი ტროლის საქმიანობა მხოლოდ ყალბი შენიშვნებით ან დამამცირებელი კომენტარებით შემოიფარგლება.

დაბლოკვა: რამდენიმე სოციალური მედია პლატფორმის ქონა საშუალებას მოგცემთ ხელი შეუშალოთ სხვებს თქვენს თვალყურის დევნებაში. ისინი ვეღარ შეძლებენ თქვენი პოსტების ნახვას ან *კონტენტზე* კომენტარის გაკეთებას. ამასთანავე, პროფილის მდუმარე რეჟიმთან ერთად, დაბლოკვა არის ერთ-ერთი სტრატეგია პრობლემის გადასაჭრელად. თუმცა, მოძალადეები სავარაუდოდ, ახალ ანგარიშსაც შექმნიან და თქვენ ისევ მოგიწევთ მათი დაბლოკვა.

დარეპორტება: სოციალური მედიის პლატფორმაზე მომხმარებლის ქცევის შესახებ საჩივრის შეტყობინების გაგზავნა გამოიწვევს მისი ანგარიშის შეჩერებას, იმ შემთხვევაში თუ დადასტურდა, რომ მომხმარებელი არღვევს პლატფორმის ნორმებს. მსგავს სტრატეგიას აქვს შეზღუდვები, რადგან შეურაცხმყოფელი შეტყობინებები შეიძლება შემოდიოდეს განსხვავებული ანგარიშებიდან, რაც ართულებს დამნაშავის დადგენას. გარდა ამისა, ზოგიერთი პოსტი შეიძლება ჩაითვალოს როგორც შეურაცხმყოფელი, მაგრამ არ არღვევდეს კონკრეტული პლატფორმის წესებს.

მიუხედავად ზემოთქმულისა, არის შემთხვევები, როდესაც ტროლები არღვევენ კანონს და ფაქტობრივად, ხდებიან კრიმინალები მავნებლური განზრახვებით, მაგალითად, იპარავენ მსხვერპლი ქალების პირად ინფორმაცია, ამჟღავნებენ და ავრცელებენ მას ინტერნეტში. მსგავს დამნაშავეებთან ბრძოლა მოითხოვს უფრო მკაცრ რეაგირებას, ბევრად მეტს, ვიდრე წინა წლებში მოქმედებდა ამ ტიპის დამნაშავეებთან საბრძოლველად. ძალიან მნიშვნელოვანია, დაარეპორტოთ მსგავსი ანგარიშები როგორც „ყალბი" და დაუყოვნებლივ შეატყობინოთ ამ ფაქტის შესახებ ადგილობრივ ხელისუფლებას. კონკრეტულ სიტუაციებში, შესაძლებელია თვალყური ადევნოთ პიროვნების „ყალბ" ანგარიშებს და თუ აღმოჩნდა, რომ იგი ჩართულია უკანონო საქმიანობაში, შეგიძლიათ დაიწყოთ მასზე სამართლებრივი დევნა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. https://www.infrastructure.gov.au/media-technology-communication/internet/online-safety/esafety-commissioner
2. https://www.dexerto.com/
3. https://www.researchgate.net/
4. https://youthcomm.org/
5. https://www.cybersmile.org/
6. https://www.statista.com/
7. https://www.zonamovilidad.es/
8. https://www.britanica.com/
9. https://www.coe.int/en/web/portal
10. https://www.ohchr.org/en/ohchr_homepage
11. https://www.annapolis.gov/
12. https://eige.europa.eu/